პ რ ო ე ქ ტ ი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

---- მარტი, 2026 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 დეკემბრის №გ-15.15253358 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 დეკემბრის №გ-15.15253358 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო, შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნატალია ზოიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	–	საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ბ) ივანე მაისურაძე (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	–	საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
გ) თეა ჯანჯღავა	–	საბჭოს მდივანი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი.

საბჭოს წევრები:

დ) ლევან ცხოიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	–	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ე) ნერიმან ცინცაძე (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	–	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ვ) ჯაბა ჭანტურია (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	–	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზ) ნინო ცხვარაძე (ფრაქცია „ხალხის ძალა“)	–	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ხალხის ძალა“ თავმჯდომარე;
თ) გიორგი მურადიშვილი (ფრაქცია „ხალხის ძალა“)	–	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
ი) გიორგი მასალკინი (პ/გ „გირჩი“)	–	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
კ) მამუკა კაკაბაძე (ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)	–	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ლ) ნინო კერვალიშვილი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;

მ) მარიამ ხაზარაძე – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;

ნ) რუსუდან სალუქვაძე – ა(ა)იპ „ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 დეკემბრის №გ-15.15253358 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 დეკემბრის №გ-15.15253358 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბ) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი, არსი:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით განსაზღვრულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებას, კერძოდ, საბჭოს შემადგენლობას დაემატა მეცამეტე წევრი.

გ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

გ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფის საჭიროებას.

გ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტი გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

დ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

ე) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია / დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ვ) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ნატალია ზოიძე.

ზ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ნატალია ზოიძე.

თ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის

პირველი მოადგილე

ნატალია ზოიძე